

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №12**

ქ.თბილისი
სხდომას ესწრებოდნენ:

03.12.2014

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:**

ირინა ხანთაძე - ა(ა)იპ - კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის აღმასრულებელი
დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თინათინ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - ფონდი ღია საზოგადოება საქართველო, აკადემიური მხარდაჭერის
პროგრამა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ოფიცერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ლიკა ქათამაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს მდივანი;

ნინო ჩინჩალაძე - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ აღმასრულებელი
დირექტორი;

თამარ ზაალიშვილი - უმაღლესი განათლების ექსპერტი, შპს - აღმოსავლეთ ევროპის სასწავლო
უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი;

ნინო სოზაშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:**

ლაშა მარგალიშვილი	-	ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
ლევან მადათოვი	-	ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
თამთა კობახიძე	-	ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
თამარ შენგელია	-	ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელი;
ქეთევან ინანაშვილი -	რეესტრის წარმოების, აპოსტილისა და ლეგალიზაციის სამსახურის სპეციალისტი.	

დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ლევან ჯაყელი - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ნინო ბერძენიშვილი - შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის იურისტი;
3. თამარ გიორგობიანი - შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
4. ირაკლი მორგოშია - შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის დირექტორი;
5. პაატა ყიფიანი - შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის რექტორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტი):

ნოდარ ანგურიძე;

თამარ გვიანიშვილი;

დავით ჭეიშვილი.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 17:30 საათზე, შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს ევრაზიის საერთაშორისო ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი აბრეშუმის გზის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ ცენტრში შემოსული იყო შპს თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი აბრეშუმის გზისა (ცენტრში რეგისტრაციის №960858) და შპს ევრაზიის საერთაშორისო ინსტიტუტის (ცენტრში რეგისტრაციის №960783) შუამდგომლობები, რომლითაც დაწესებულებები ითხოვდნენ მათი ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადებას.

შპს თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი აბრეშუმის გზის შუამდგომლობაში მითითებული იყო შემდეგი მიზეზი - 2014 წლის 3 დეკემბრის ავტორიზაციის საბჭოს სხდომას დაწესებულების რექტორი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაურესების გამო ვერ დაესწრებოდა.

შპს ევრაზიის საერთაშორისო ინსტიტუტის შუამდგომლობაში მითითებული იყო შემდეგი, დაწესებულების პასუხისმგებელი პირები არ იქნებოდნენ საქართველოში 2 დეკემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით. შესაბამისად, დაწესებულება ითხოვდა მათი ავტორიზაციის საკითხის გადადებას 14 დეკემბრის შემდგომ დანიშნულ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. ლაშა მარგიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შპს ევრაზიის საერთაშორისო ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადება გამოიწვევდა ადმინისტრაციული წარმოების 90 დღიანი ვადის დარღვევას.

აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ, ირინა ხანთაძემ განმარტა, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ შპს ევრაზიის საერთაშორისო ინსტიტუტის საქმის მასალებს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და საკითხის ყოველმხრივი და ობიექტური



განხილვისათვის არსებითად მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა დაინტერესებული მხარის პოზიციის მოსმენა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან დაკავშირებით. ირინა ხანთაძემ აღნიშნა, რომ საბჭო ვალდებულია გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, რისთვისაც ზეპირ მოსმენაზე აუცილებელი იყო დაინტერესებული მხარის დასწრება და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

ირინა ხანთაძე დაინტერესდა, იწვევდა თუ არა ადმინისტრაციული წარმოების ვადის დარღვევას შპს თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი აბრეშუმის გზის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადება. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში 90 დღიანი ვადა არ ირღვეოდა. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს წევრები დაეთანხმნენ წარმოდგენილ შუამდგომლობას.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის ახალი წესრიგი:

1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის ახალი დღის წესრიგი.



1. სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინა ავტორიზაციის ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა, როგორც უმაღლეს, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. დასკვნაში ხარვეზები არ იყო დაფიქსირებული და დაწესებულება სრულად აკმაყოფილებდა ვიზიტის დროს სტანდარტებს. ნოდარ ანგურიძემ ასევე დაამატა, რომ დაწესებულებას სურდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულიყო 2500 სტუდენტით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რატომ დადგა აკადემიისათვის დღის წესრიგში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი. დაწესებულების წარმომადგენელმა, ლევან ჯაყელმა აღნიშნა, საკითხის განხილვა აკადემიის რესურსებისა და შესაძლებლობის ზრდამ განაპირობა. კერძოდ, ფართისა და მატერიალური რესურსების გაუმჯობესებამ, ასევე ახალი პროგრამების შემუშავების აუცილებლობამ, რომ აკადემია აპირებდა მიეღო უცხოელი სტუდენტები რუსულ და ინგლისურენოვან პროგრამებზე, რაც დამატებით ადგილებს საჭიროებდა. ლევან ჯაყელმა აღნიშნა, ადგილების გაზრდის შემთხვევაში სტუდენტებს სასწავლო პროცესში არ შეექმნებოდათ პრობლემები. მან დაამატა, რომ აკადემიის სტუდენტები საქმებოდნენ უცხოეთში და ეს განსაკუთრებით ზრდიდა სტუდენტების მხრიდან. პროგრამებზე მოთხოვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს, შეძლებდა თუ არა დაწესებულება 2 500 სტუდენტისთვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას. ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ ვიზიტის დროს დადასტურდა დაწესებულების მატერიალური რესურსების შესაბამისობა სტანდარტთან. მან აღნიშნა, რომ აკადემიის ფართი, საბიბლიოთეკო ფონდი და ინვენტარი ავტორიზაციის მიღების შემდეგ გაიზარდა. შესაბამისად, ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ დაწესებულება შეძლებლდა 2500 სტუდენტისთვის საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას სურდა სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა 2500-მდე, აქედან 200 პროფესიული სტუდენტი.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2 500-ით, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 6
წინააღმდეგი- 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას (ს/კ: 245427337) სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 2 500-ით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.



2. შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა ზოგადად წარედგინა დაწესებულების ისტორია, მიზნები და მისია.

დაწესებულების იურისტმა, ნინო ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ შპს თბილისის საერთაშორისო აკადემია დაფუძნდა 2014 წლის 15 ივლისს და აქცენტს აკეთებდა საერთაშორისო ასპარეზზე. მან დაამატა, რომ დაწესებულების მისია და მიზნებიც გამომდინარეობდა აღნიშნულიდან. დაწესებულების სამომავლო გეგმებს წარმოადგენდა აკადემიური პერსონალის გაძლიერება და უცხოენოვანი პროგრამების მომზადება. ნინო ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ ამჟერად დაწესებულებას სურდა კოლეჯის სტატუსის მოპოვება.

საბჭოს წინაშე დასკვნა წარადგინეს ავტორიზაციის ექსპერტებმა - თამარ გვიანიშვილმა და დავით ჭეიშვილმა და ცენტრის თანამშრომელმა ქეთევან ინანაშვილმა. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო უფლებამოსილი პირის - რექტორის მიერ დამტკიცებული (ბრძანებები №8/09, 26.09.2014 და №8/10, 26.09.2014) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები „საერთაშორისო ურთიერთობები“ და „ბიზნესის ადმინისტრირება“. ორივე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილი იყო ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის ECTS შესაბამისად. პროგრამების აღწერილობებში (კურიკულუმებში) მითითებული იყო პროგრამის სახელწოდება, მიმართულება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე მიღების წინაპირობები, პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა კრედიტებში, სწავლების ენა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგების – კომპეტენციების რუკა, ინფორმაცია კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ და სხვ. ორივე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ერთვოდა პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/სილაბუსები. აღსანიშნავია, რომ მითითებული მირითადი სახელმძღვანელოები ვერ უზრუნველყოფდნენ სასწავლო კურსის მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მიღწევას:

1.1.1 „საინფორმაციო ტექნოლოგიები – 1“: გარდა იმისა, რომ ურთიერთშეუსაბამო იყო სასწავლო კურსის მიზანი, „სტუდენტმა იცოდეს Windows 7“, და დაგეგმილი შედეგები „სტუდენტმა იცის Windows 10“, ვერც ერთი მათგანი ვერ იქნებოდა მიღწეული, რადგან



ერთადერთი ძირითადი სახელმძღვანელო იყო – ს. რაზმაძე. Microsoft Windows. 2004 წ., სადაც აღნიშნული იყო, რომ „ამ სახელმძღვანელოთი სარგებლობა შეუძლიათ Windows 95, Windows 98, Windows ME, Windows 2000, Windows XP, Windows 2003 ვერსიების მომხმარებლებს“. ასევე, სასწავლო კურსის მიზანს „შეასწავლოს სტუდენტს Ms PowerPoint-ის მეთოდები და საშუალებები“ ვერ უზრუნველყოფს შესაბამის თემებთან მითითებული ერთადერთი სახელმძღვანელო (ს. რაზმაძე. Microsoft Word. 2007), რომელშიც ეს საკითხები გათვალისწინებული არ იყო. მსგავსი შენიშვნა დაფიქსირდა საერთაშორისო ურთიერთობების „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით;

1.1.2. „საინფორმაციო ტექნოლოგიები-2“: მიზანი – შეასწავლოს სტუდენტს „მონაცემთა ბაზებთან მუშაობის პრინციპები Ms Access-ის მაგალითებზე“, ვერ იქნებოდა მიღწეული იმ ერთადერთი მითითებული ძირითადი სახელმძღვანელოს (ს. რაზმაძე. Microsoft Excel. 2007 წ.) გამოყენებით, რომელიც ეძღვნებოდა Excel-ის 2007 წლისთვის არსებულ ბოლო ვერსიას და მასში Ms Access-ის საკითხები გათვალისწინებული არ იყო. ამ საკითხებს არ ითვალისწინებდა არც ერთადერთი დამხმარე სახელმძღვანელო - „ც. ჯაფიაშვილი, ა. ძოძუაშვილი. პრაქტიკული Excel-ი. სავარჯიშოების და ამოცანების კრებული. 2003“;

1.2. სასწავლო კურსის მიზანი და წინაპირობა ურთიერთშეუსაბამო იყო: „ინგლისური (დარგობრივი) ენის“ მიზანია: სტუდენტმა გაიმდიდროს ლექსიკა ბიზნეს ტერმინოლოგიით და „დაეუფლოს ინგლისური ენის ყველა უნარს (კითხვა, წერა, მოსმენა და საუბარი) B2.1 დონეზე“, მაშინ, როდესაც წინაპირობად მითითებული ინგლისური ენა 4 – ის შესწავლით უკვე მიღწეული იქნება უფრო მაღალ – B2.2 დონეზე კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბარის უნარები.

1.3 სასწავლო კურსის სწავლის შედეგი, კერძოდ უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარი, არარელევანტური იყო:

ა) „შესავალი პოლიტოლოგიაში“ (ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა) – „შეუძლია პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე დებატებში მონაწილეობა, პოლიტიკური პროცესების მიმოხილვა ...ორ უცხო ენაზე“, რაც ვერ იქნება მიღწეული, რადგან ისტავლება მხოლოდ ინგლისური ენა. ასევე, ვერ იქნებოდა მიღწეული პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე თუნდაც ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის შესაძლებლობა, რადგან პროგრამა ითვალისწინებდა ინგლისურ ენაზე მხოლოდ ბიზნეს-ტერმინოლოგიის შემსწავლელ სასწავლო კურსს. ანალოგიურად, საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის შემთხვევაში „პოლიტიკურ იდეოლოგიებში“ მითითებული იყო „შეუძლია კომუნიკაცია პოლიტიკურ იდეოლოგიასთან დაკავშირებულ საკითხებზე... შედის დისკუსიაში შესაბამისი არგუმენტაციით და ტერმინოლოგიის გამოყენებით ... 2 უცხო ენაზე“ და „მსოფლიო პოლიტიკის სასწავლო კურსში – „შეუძლია მსოფლიო პოლიტიკაში არსებული პრობლემატიკის ირგვლივ კომუნიკაცია ... 2 უცხო ენაზე“. ორივე მითითებული სასწავლო კურსი გათვალისწინებული იყო III სემესტრში და ამ მომენტისთვის სტუდენტს შესწავლილი ექნებოდა ზოგადი ინგლისური ენა 1,2 (B1.2 დონე), მეორე უცხო ენის A1 დონეზე შესწავლა კი მხოლოდ იწყებოდა იმავე III სემესტრში;

ბ) „შესავალი ფილოსოფიაში“ – მითითებული იყო „შეუძლია კომუნიკაცია ფილოსოფიის დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე ფართო საზოგადოების წინაშე ... უცხოურ ენაზე“. ამ სასწავლო კურსის შემთხვევაში სტუდენტი ვერ შეძლებდა ინგლისურ ენაზე არამხოლოდ ფილოსოფიის დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე, არამედ საყოფაცხოვრებო თემებზე თავისუფალ საუბარს, რადგან აღნიშნული სასწავლო კურსი და ინგლისური ენა – 1, რომლის მიზანია B1.1. დონის შესაბამისი ლექსიკის და გრამატიკის შესწავლაა, ისტავლებოდა ერთსა და იმავე, I სემესტრში;



1.4 გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ოთხივე სასწავლო კურსის შემთხვევაში სწავლის შედეგი (უცხოურ ენაზე კომუნიკის უნარი) არ შეესაბამებოდა სილაბუსებში მითითებულ წინაპირობებს, მიზნებს, შინაარსს და მხოლოდ ქართულენოვან ძირითად და დამხმარე ლიტერატურას. კურიკულუმში და სილაბუსებში მითითებული იყო განსხვავებული წინაპირობები: „ფინანსური მენეჯმენტის“ წინაპირობა – სილაბუსით „მენეჯმენტის საფუძვლები“, კურიკულუმით – წინაპირობა არ ჰქონდა; „საბანკო საქმე“ და „ფასიანი ქაღალდები და ფინანსური ბაზარი“ წინაპირობა სილაბუსით – „ფინანსების საფუძვლები“, კურიკულუმით – „ფინანსური აღრიცხვა“; „საერთაშორისო საბაზო სისტემების“ წინაპირობა – სილაბუსით „საერთაშორისო ბიზნესი“, კურიკულუმით – „ფინანსური აღრიცხვა“; „სადაზღვევო ბიზნესის მართვის“ წინაპირობა – სილაბუსით „ბიზნესის საფუძვლები“, კურიკულუმით – „ფინანსური აღრიცხვა“; „მარკეტინგული კვლევის პრინციპების“ წინაპირობა – სილაბუსით „მარკეტინგის საფუძვლები“, კურიკულუმით – „ბიზნესის საფუძვლები“;

1.5 რიგ შემთხვევაში, კურიკულუმში მითითებული წინაპირობები არ შეესაბამებოდა არც სილაბუსში მითითებულ და არც სასწავლო კურსის სპეციფიკას, მაგ., სასწავლო კურსები: „მომხმარებელთა ქცევა“, „მომსახურების მარკეტინგი“, „ინტერნეტმარკეტინგი“ – კურიკულუმში წინაპირობად მითითებული იყო „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“, სილაბუსებში კი – „მარკეტინგის საფუძვლები“.

1.6 შეუძლებელი იყო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო კურსების შესწავლა წინაპირობების დაცვით:

კურიკულუმში და სილაბუსებში (მოდული „საბუღალტრო აღრიცხვა“) მითითებული იყო განსხვავებული ინფორმაცია სასწავლო კურსების წინაპირობების შესახებ, მაგ.: სასწავლო კურსების: „ეკონომიკური ანალიზი“, „აღრიცხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში“, „აღრიცხვა ბანკებში“, „აუდიტის საფუძვლები“ წინაპირობაა – კურიკულუმით „ფულის მიმოქცევა და კრედიტი“ (IV სემესტრი), სილაბუსით – „ფინანსური აღრიცხვა“ (V სემესტრი);

მითითებული წინაპირობების დაცვის შემთხვევაში: 1) ვერ მოხდებოდა სასწავლო გეგმის შესაბამისად ამ სასწავლო კურსების შესწავლა IV სემესტრში (თუ წინაპირობა კურიკულუმში მითითებული „ფულის მიმოქცევა და კრედიტი“); 2) ვერ მოხდებოდა სასწავლო კურსების შესწავლა IV–V სემესტრებში (თუ წინაპირობა იქნება სილაბუსში მითითებული „ფინანსური აღრიცხვა“). გარდა ამისა, V სემესტრში სტუდენტი საერთოდ ვერ შეისწავლიდა მოდულში შემავალ ვერც ერთ სასწავლო კურსს.

1.7 პრაქტიკასთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი:

1.7.1 მითითებული იყო: 5 კრედიტი, რომელიც = 150 საათს, რაც არ შეესაბამებოდა დაწესებულებაში დადგენილს: 1 კრედიტი = 25 სთ. და 5 კრედიტი = 125 სთ;

1.7.2 მითითებული იყო: საკონტაქტო 107 სთ, რაც არ შეესაბამებოდა იმავე სილაბუსში მოცემულ პრაქტიკის განრიგს, რომლის მიხედვით – საკონტაქტო იყო 120 სთ;

1.7.3 მითითებული იყო: დამოუკიდებელი მუშობა 43 სთ, უნდა იყოს 5 სთ, რადგან პრაქტიკის 5 კრედიტი = 125 სთ, საიდანაც 120 სთ იყო საკონტაქტო;

1.7.4 შეუძლებელი იყო სილაბუსში მითითებული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობის სისწორის გადამოწმება, რადგან კურიკულუმში ეს ინფორმაცია არ ფიქსირდებოდა. ასევე არ დგინდებოდა ჰქონდა თუ არა პრაქტიკას წინაპირობა სილაბუსის სტრუქტურაში „წინაპირობის“ გრაფის არასებობის გამო;

1.7.5 მითითებული იყო: პრაქტიკის ხანგრძლივობა – 8 კვირა, მე-9 კვირა – პრაქტიკის ანგარიშის დაცვა, რაც არ შეესაბამება სილაბუსის პრაქტიკის განრიგს – ხანგრძლივობა 9 კვირა და მე-10 კვირა – პრაქტიკის ანგარიშის დაცვა. ურთიერთშეუსაბამობის გარდა, მითითებული

პრაქტიკის ხანგრძლივობა არ შეესაბამებოდა იმავე სილაბუსის ჩანაწერს – „ხანგრძლივობა 1 სემესტრი“, რაც დაწესებულების რეგულაციებით შეადგენდა 21 კვირას;

1.7.6 მითითებული იყო: პრაქტიკა ფასდებოდა სტუდენტის მიერ „წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის მიხედვით“, რაც არ შეესაბამებოდა მითითებულ შეფასების სისტემას, რომელიც პრაქტიკის ანგარიშის დაცვის გარდა ითვალისწინებდა შუალედური შეფასების კომპონენტებსაც: პრაქტიკის ობიექტზე გამოცხადების, საწარმოო პროცესში ჩართულობის, პრაქტიკის პროცესში ლექტორის მიერ სტუდენტის აქტივობის შეფასების, პრაქტიკის ანგარშის წარმოების შეფასებებს;

1.7.7 არ იყო უზრუნველყოფილი შეფასების სისტემის გამჭვირვალობა, რადგან:

ა) მითითებული იყო შემდეგი: 100–ქულიან სისტემაში 60 ქულა იყო დაცვამდე მიღებული შეფასებები, თუმცა იქვე ჩამოთვლილი 10 ქულის (ობიექტზე გამოცხადება), 20 ქულის (საწარმოო პროცესში ჩართულობა), 30 ქულის (ლექტორის მიერ სტუდენტის აქტივობის შეფასება) და 10 ქულის (პრაქტიკის დღიურის წარდგენა) დაჯამებით მიღებოდა 70 ქულა;

ბ) შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდებოდა როდის, როგორ და რამდენჯერ მოხდებოდა სტუდენტის პროცესში ჩართულობის, პრაქტიკის ანგარშის წარმოების, ლექტორის მიერ სტუდენტის აქტივობების შეფასება, რომელ კვირაში იყო გათვალისწინებული და საერთოდ იყო თუ არა გათვალისწინებული ანგარიშის დამატებითი დაცვა სტუდენტის მიერ FX შეფასების მიღების შემთხვევაში;

გ) შუალედური და ანგარიშის დაცვის შეფასების შემთხვევაში მითითებული იყო მხოლოდ შეფასების კომპონენტები და მაქსიმალური ქულები მაგ. „საწარმოო პროცესში ჩართულობა – 20 ქულა“, „პრაქტიკის დღიურის წარმოება – 10 ქულა“, „პრეზენტაცია – 15 ქულა“, „პრეზენტაციის დამაჯერებლობის ხარისხი – 5 ქულა“, „დროის მართვა – 5 ქულა“ და ა.შ. შეფასების კრიტერიუმებისა და შეფასების ქულების გრადაციის გარეშე, რის გამოც არ დგინდებოდა რა კრიტერიუმებს შესაბამებოდა მითითებული მაქსიმალური ქულები ან როგორ დააგროვებდა სტუდენტი 11 ქულას, რომელიც საკმარისი იყო პრაქტიკის ანგარიშის დაცვაზე დასაშვებად, და 51 ქულას, რომელიც საკმარისი იყო კრედიტის მისაღებად.

1.8) საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით დაფიქსირდა შემდეგი ხარვეზები:

1.8.1 მითითებული იყო 15 კრედიტი, კურიკულუმში – 5 კრედიტი;

1.8.2 მიზნებში მითითებული იყო, რომ „ნაშრომი სრულდებოდა ბიზნესის ადმინისტრირების დარგში. ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლენილიყო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავლის შედეგად სტუდენტის ცოდნის დონის და პრაქტიკული უნარების შესაბამისობა პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან“, რაც არარელევანტური იყო, რადგან პროგრამა ითვალისწინებდა არასპეციალობის არჩევით სასწავლო კურსებს (5 კრედიტი) და ე.წ. „თავისუფალ კრედიტებს“ (15 კრედიტი), რომლებსაც „სტუდენტი ირჩევს ... აკადემიაში არსებული სხვა პროგრამიდან“ და „შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავება დამოკიდებულია... სასწავლო კურსების სპეციფიკაზე“. შესაბამისად, შეუძლებელი იყო ბიზნესის ადმინისტრირების დარგში ნაშრომის შესრულებით არასპეციალობის არჩევითი და/ან „თავისუფალი კრედიტებით“ მიღწეული კომპეტენციების შესაბამისობის დადგენა პროგრამით განსაზღვრულ სავალდებულო სასწავლო კურსებიდან გამომდინარე სწავლის შედეგებთან;

1.83 შუალედურ შეფასებებში მოიაზრებოდა რეცენზენტის მიერ ნაშრომის შეფასება. ინფორმაციის არარსებობის გამო ვერ დგინდებოდა ვინ ნიშნავდა ნაშრომის რეცენზენტს, როდის უნდა გადაცემოდა მას ნაშრომი და რა ვადაში უნდა მოემზადებინას რეცენზია იმის გათვალისწინებით, რომ უარყოფითი (11 ქულაზე ნაკლები) შეფასების მიღების შემთხვევაში დაინიშნებოდა მეორე რეცენზენტი, რომელსაც ასევე უნდა შეეფასებინა ნაშრომი;

1.604

1.8.4 არ იყო მითითებული რომელ კვირას ტარდებოდა ნაშრომების დამატებითი დაცვები და საერთოდ იყო თუ არა ეს გათვალისწინებული;

1.8.5 შეფასების სისტემა არ იყო გამჭვირვალე, რადგან:

ა) მითითებული იყო რეცენზენტის მიერ ნაშრომის შეფასების მხოლოდ მაქსიმალური ქულები და ამ ქულების შესაბამისი კრიტერიუმები, მაგ., „ნაშრომის არქიტექტონიკა სრულ შესაბამისობაშია დადგენილ სტანდარტებთან – 10 ქულა, დასმული საკითხი არსებითად ამოწურულია, დასკვნები არგუმენტირებულია – 15 ქულა, და ა.შ.“ დაცვის კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასებებში მითითებული მხოლოდ შეფასების კომპონენტები და მაქსიმალური ქულა შეფასების კრიტერიუმის გარეშე, მაგ., „პრეზენტაციის ტექნიკა და ტექნოლოგია – 10 ქულა, პრობლემის დასმა და წარმოჩენა – 10 ქულა“ და ა.შ.

ბ) ინფორმაციის არარსებობის გამო არ დგინდებოდა: 1) როგორ მოხდებოდა რეცენზენტის მიერ ნაშრომის არამაქსიმალური ქულებით შეფასება და იმ 11 ქულის ფორმირება, რომელიც საკმარისია დაცვაზე დასაშვებად, 2) კომისიის მიერ პრეზენტაციის შეფასებისას როგორი იყო მითითებული მაქსიმალური ქულების შესაბამისი კრიტერიუმები, როგორი იყო არამაქსიმალური ქულების გრადაცია და მათი შესაბამისი შეფასების კრიტერიუმები, 3) როგორ მოხდებოდა არამაქსიმალური, მათ შორის 51 ქულის ფორმირება, რომელიც საკმარისი იქნებოდა კრედიტის მისაღებად.

1.8.6 მითითებული იყო „დაცვა განხორციელდება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით“, თუმცა დაწესებულების სახელწოდება იყო „აკადემია“.

1.9 სტუდენტის მიღწევების შეფასება რიგ შემთხვევაში შეიცავდა შემდეგ ხარვეზებს:

1.9.1 შეფასების სტრუქტურა არ შესაბამებოდა კურიკულუმის მოთხოვნას, მაგ., ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურიკულუმში მითითებული იყო, რომ შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდებოდა კომბინირებული ფორმით. ამავე დროს გამოცდები ტარდებოდა მხოლოდ ტესტირებით (ინგლისური ენა-1,2,3,4 და დარგობრივი ენა; სადაზღვეო ბიზნესის მართვა; საინფორმაციო ტექნოლოგიები-1,2);

1.9.2 შეფასების კრიტერიუმი არარელევანტური იყო: 1) მაგ., „2 ქულა – ამოცანის პირობები დაკმაყოფილებული არ არის, ტერმინოლოგია არ არის დაცული. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას“; „0 ქულა – დასმულ შეკითხვებზე პასუხი არსებითად მცდარია... ხშირ შემთხვევაში უშვებს გრამატიკულ, ლექსიკურ და მართლწერის შეცდომებს“ (მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის-1,2);

1.9.3 შეფასების ქულები არარელევანტური იყო, მაგ., დასკვნითი გამოცდის ერთერთი კომპონენტის – ზეპირი გამოცდის მინიმალური შეფასება – 2 ქულაა. ანუ, დასკვნითი გამოცდის სხვა კომპონენტებში 0 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს დასკვნით გამოცდაში ექნებოდა არა 0, არამედ 2 ქულა, რაც შუალედური შეფასებების 49 ქულის შემთხვევაში შესაძლებელს გახდიდა დადებით შეფასებას და კრედიტის მიღებას (ბიზნესის სამართალი; ეკონომიკური პოლიტიკა).

1.9.4 შეუსაბამო იყო შეფასების კომპონენტში მისაღები ქულა და სტუდენტის აქტივობების რაოდენობა, მაგ., „დისკუსია/დებატებში მონაწილეობა – სულ 15 ქულა, თითოეული მონაწილეობა ფასდებოდა 1 ქულით. სემესტრის განმავლობაში დისკუსია/დებატების ჩატარება გათვალისწინებული იყო 2-ჯერ“ (ალბათობს თეორია) ან „აქტიურობა სამუშაო ჯგუფში – 15 ქულა. სემესტრში გათვალისწინებული იყო 15 თემის მომზადება (თითოეული $\max 1$ ქულა), ამავე დროს სილაბუსით გათვალისწინებული იყო 14 ჯგუფში მუშაობა (სურსათის უვნებლობა და ხარისხი; სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და აგრობიზნესი);

1.9.5 შეფასების აღწერა შეიცავდა ურთიერთშეუსაბამო ინფორმაციას, მაგ., შუალედური გამოცდა – სტუდენტის ცოდნა ფასდება 30 ქულით. გამოცდა მოიცავდა 15 ღია კითხვას (თითოეულის \max შეფასება 1 ქულა) და 2 თეორიულ საკითხს (თითოეულის \max შეფასება 5 ქულა), რაც ჯამში შეადგენს არა 30, არამედ 25 ქულას (საქართველოს ისტორია; შესავალი ფსიქოლოგიაში; საერთაშორისო ურთიერთობების თეორია);

1.9.6 არ იყო უზრუნველყოფილი შეფასების გამჭვირვალობა, რადგან არ იყო მითითებული შეფასების კრიტერიუმები და ქულების გრადაცია, მაგ., „ტექნიკური მხარე – \max 3 ქულა, შინაარსობრივი მხარე – \max 4 ქულა, პრეზენტაციულობა – \max 3 ქულა. სულ – \max 10 ქულა“ (ანტიკრიზისული მენეჯმენტი; მარკეტინგის საფუძვლები);

1.10 სხვადასხვა სასწავლო კურსი იდენტური იყო – მიუხედავად განსხვავებული სათაურებისა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის „აკადემიური წერის“ და საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის „წერითი და ზეპირი კომუნიკაციის“ სასწავლო კურსების სილაბუსები იდენტური იყო – რაც იწვევდა „საერთაშორისო ურთიერთობების“ პროგრამის „წერითი და ზეპირი კომუნიკაციის“ სილაბუსის შეუსაბამობას სწავლის მეთოდებში წაწილში, რომელშიც გაწერილი იყო: ამასთანავე სტუდენტები მოამზადებენ პრეზენტაციას მათვის საინტერესო დარგობრივ (მაგ.: სამართლებრივ, საბუღალტრო და მარკეტინგის, ტურიზმის და სხვ., მათი სპეციალობის შესაბამის) საკითხზე მოცემული სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი ცოდნის საფუძველზე და ნაშრომს წარმოადგენენ შესაბამისი წესების დაცვით. საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრიატის პროგრამა არ მოიცავდა მარკეტინგის, ტურიზმის და სხვა კურსებს.

1.11. ზოგიერთ შემთხვევაში სილაბუსების სასწავლო რესურსში მითითებული იყო „ელექტრონული სასწავლო პორტალი“, რომელიც დაწესებულებაში არ არსებობდა. მაგალითისთვის: „ზეპირი და წერითი კომუნიკაციები“, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“.

1.12 დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირების და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმებში მითითებული სწავლის შედეგები აღწერილი იყო უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში (I საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერში) გათვალისწინებული 6 კომპეტენციით.

1.12.1. ორივე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში არ იყო უზრუნველყოფილი ყველა სტუდენტისთვის პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგის – სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის შესაძლებლობა, რადგან კურიკულუმის თანახმად, პროგრამაზე ჩარიცხვისთვის სავალდებულო საგნებს მიეკუთვნება „ერთ–ერთი უცხო ენა“. ამავე დროს, სასწავლო გეგმით პირველივე სემესტრში გათვალისწინებული იყო სასწავლო კურსი ინგლისური ენა – 1 (წინაპირობის გარეშე, მიზანი – B1.1. დონის მიღწევა), რომელიც არ ითვალისწინებდა ინგლისური ენის ანგანის შესწავლას და საწყის (A1 დონეზე) ენობრივი კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც დასტურდებოდა სასწავლო კურსის შინაარსით და მითითებული ძირითადი ლიტერატურით – Intermediate Student's Book და Intermediate Workbook. აღნიშნულის გათვალისწინებით, სტუდენტები, რომლებმაც ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარეს ერთ–ერთი, მაგრამ არა ინგლისური ენა და არ ფლობდნენ მას A დონეზე, ვერ შეძლებდნენ ინგლისური ენა-1-ის, შემდგომში კი – ინგლისური ენა-2,3,4 და ინგლისური ენა-5 (დარგობრივის) დაძლევას და პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

1.12.2 საერთაშორისო ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების კომუნიკაციის ნაწილი არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120 ბრძანებით დამტკიცებული

„ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ კვალიფიკაციათა აღმწერის კომუნიკაციის ნაწილს (ჩარჩოს დანართი №3-ის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი).

კონკრეტულად, პროგრამის სწავლის შედეგში არ იყო მოცემული „თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების“ უნარი;

1.12.3 ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის „საინფორმაციო ტექნოლოგიები-1,2“-ის და საერთაშორისო ურთიერთობების „საინფორმაციო ტექნოლოგიების“ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული მოძველებული ძირითადი ლიტერატურით ვერ მიიღწეოდა კვალიფიკაციათა აღმწერით დადგენილი კომპეტენცია „თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება“.

1.13 დაწესებულების დებულებაში (მ.29, პ.29.2) მითითებული იყო, რომ სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი დეტალურად რეგულირდებოდა „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“. დაწესებულებამ წარმოადგინა უფლებამოსილი პირის – დირექტორის მიერ დამტკიცებული (დადგენილება დ/32, 04.08.2014) აღნიშნული დებულება, სადაც მითითებული იყო სტუდენტის სტატუსის მოპოვების (მ.19), სტუდენტის სტატუსის შეჩერების (მ.24), სტუდენტის სტატუსის აღდგენის (მ.25), სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის (მ.26), გარე და შიდა მობილობის (მ.30-32) და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების (მ.33, 34) წესები მარეგულირებელი წესები და ასევე მითითებული იყო, რომ შინაგანაწესით დადგენილი გადაცდომის ჩადენისას სტუდენტის მიმართ შეძლებოდა დაწყებულიყო დისციპლინური წარმოება, რომლის შედეგად შეიძლებოდა სტუდენტის შეჩერებოდა ან შეწყვეტოდა სტატუსი (მ.23, პ.23.4), გარდა ამისა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი იყო „დაწესებულების ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება“ (მ.26, პ.26.2).

1.13.1 დაწესებულების შინაგანაწესში მითითებული იყო, რომ „სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს შინაგანაწესით განსაზღვრულ ქცევის ზოგად წესებს“ (მ.15), „შინაგანაწესით დადგენილი გადაცდომის ჩადენისას სტუდენტის მიმართ შესაძლებელია დაიწყოს დისციპლინური წარმოება“ (მ.29, პ.29.1) და დისციპლინურმა კომისიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილებები „სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და მისი სასწავლო პროცესიდან განსაზღვრული ვადით ჩამოშორების შესახებ“ და „გადაცდომის ჩადენისათვის სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ – განსაკუთრებით მძიმე გადაცდომის ჩადენისას ან გადაცდომის არაერთხელ ჩადენისას“ (მ. 29, პ.29.4). ამავე დროს, შინაგანაწესში, ისევე როგორც „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში“, არ იყო აღწერილი ქცევის წესები, რომლებიც უნდა დაიცვას სტუდენტები, არ იყო დაზუსტებული რა ვადით მოხდებოდა სტუდენტის ჩამოშორება სასწავლო პროცესიდან, რა იგულისხმებოდა გადაცდომაში და „განსაკუთრებით მძიმე გადაცდომაში“, რომლის გამო მოხდებოდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

1.13.2 არ დგინდებოდა რა იგულისხმებოდა „დაწესებულების ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებაში“, რომლის გამო სტუდენტს შეუწყდებოდა სტატუსი, რადგან დაწესებულებას მითითებული რეგულაცია შემუშავებული არ ჰქონდა;

1.13.3 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე არ იყო უზრუნველყოფილი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნა: „სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში და გათვალისწინებული წესით, ამ კანონის გათვალისწინებით და სამართლიანი პროცედურის გზით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწე-

სებულება ვალდებულია შეიმუშაოს სტუდენტის ეთივის კოდექსი, რომელიც შესაძლებელია აწესებდეს შეზღუდვას სტუდენტის ქცევაზე, თუ ეს დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვასთან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დეტალურად განსაზღვროს ქცევის წესი, რომელიც იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას“ (მ. 43, 3.7).

1.14 წარმოდგენილ საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ დებულებაში (მ. 15) აღწერილი იყო საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, მათ შორის, პროგრამის სტუდენტებისთვის შეცვლილი/ სხვა საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელების, სტუდენტების მიერ უკვე მიღებული კრედიტების აღიარების შესაძლებლობა და სხვ. გაუქმებული პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი შპს „სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ“-სთან. მემორანდუმში მითითებული იყო, რომ მიმღები მხარე სრულად აღიარებდა მხოლოდ ტურიზმის, მენეჯმენტის და ფსიქოლოგის საბაკალავრო პროგრამებში მიღებულ კრედიტებს, რაც გამორიცხავდა საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამით და ნაწილობრივ ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამით (სტუდენტის მიერ ფინანსების, საბუღალტრო აღრიცხვის და მარკეტინგის 30-კრედიტიანი მოდულების არჩევის შემთხვევაში) მიღებული კრედიტების აღიარებას. გარდა ამისა, ვერც დაწესებულება შეძლებდა ამ მემორანდუმის შესრულებას, რადგან არ ჰქონდა შემუშავებული მემორამდუმში მითითებულ პროგრამებზე, არც ერთწლიანი და 6-წლიანი სამოქმედო გეგმებით დასტურდებოდა მათი შემუშავების მზაობა.

1.15 დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში მითითებული და ვიზიტის დროს წარმოდგენილი „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულების“ IV თავის („საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა“) შემადგენელი მუხლები იყო: საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემა (მ.35), ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (მ.36), თვითშეფასების ელემენტები (მ.37), შეფასებისას გამოყენებული წყაროები (მ.38) და შეფასების სხვა ფორმები (მ.39). ამ რეგულაციის თანახმად, „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცესში ხელმძღვანელობს წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული კრიტერიუმებით, რაც მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მაჩვენებლებს“ და განსაზღვრავდა შესაბამებოდა თუ არა წარმოდგენილი პროგრამა ამ კრიტერიუმებს. ასევე, პროგრამის ხარისხის შეფასების ფორმები იყო სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის ანკეტები და პოტენციური დამსაქმებლების ინტერვიურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დადგენილი ფორმების შესაბამისად. დაწესებულების დებულების (მ.19, პ.19.5) თანახმად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური „ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის... შემთხვევაში ამზადებდა შესაბამის დასკვნას“. არ დგინდებოდა ზემოთ მითითებულის ან რაიმე სხვა მექანიზმის გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების პროცესში და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის არსებობა. წარმოდგენილი იყო მხოლოდ ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარის შუამდგომლობა, რომლის თანახმად დეპარტამენტის სხდომაზე განხილულ იქნა პროგრამების შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან, და ამ დეპარტამენტის სხდომის ოქმი, რომელშიც მითითებული იყო, რომ „პროგრამები შესაბამება საავტორიზაციო სტანდარტებს“. დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის და სილაბუსის ჩარჩო-ფორმები, მაგრამ ვერ წარმოადგინა მითითებული გამოკითხვის ანკეტები/კითხვარები და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის ის „წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული პროგრამის შეფასების კრიტერიუმები“, რომლითაც

იხელმძღვანელა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით რა მოსაზრება გააჩნდათ.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა განაცხადა, რომ ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული შენიშვნების ნაწილს დაწესებულება ეთანხმებოდა და იზიარებდა, კერძოდ - დაწესებულების მიერ გაზიარებულ იქნა სწავლის წინაპირობებთან, შეფასების სისტემასთან და სემესტრების განაწილებასთან დაკავშირებული შენიშვნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ აღნიშნული ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია საბჭოს სხდომაზე დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის დროს მოხდა მათთვის სილაბუსების სამუშაო ვერსიების მიწოდება, რამაც გამოიწვია ხარვეზების ასე მრავლად წარმოდგენა. თამარ გიორგობიანმა აღნიშნა, რომ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდა ექსპერტთა შენიშვნების გათვალისწინება და დაამატა, რომ ინფორმატიკასთან დაკავშირებით შეირჩა სილაბუსში მოცემული მიზნისა და შედეგის შესაბამისი სახელმძღვანელო.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგადი და დარგობრივი ინგლისური ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა. შესაბამისად, ზოგადი ენის ფლობის მაღალი დონე არ ნიშნავდა იმას, რომ აღნიშნული ცოდნის დონე ექნებოდა სტუდენტის დარგობრივ ნაწილშიც.

დაწესებულების იურისტმა 1.13 პუნქტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულების სტუდენტის სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი დეტალურად რეგულირდებოდა „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით“, რომლის მიხედვითაც შეიქმნებოდა ეთიკის კომისია და ყოველ კონკრეტულ გადაცდომას განიხილავდა. აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დაწესებულებას წინასწარ უნდა ჰქონოდა განსაზღვრული რას მიიჩნევდა სტუდენტის დისციპლინურ გადაცდომად და კონკრეტულად რომელი გადაცდომებისას შეუჩერდებოდა ან შეუწყდებოდა სტუდენტის სტატუსი.

დაწესებულების იურისტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაწერილი ჰქონდა თუ კონკრეტულად რას მიიჩნევდა დისციპლინურ გადაცდომად, მაგრამ არ ჰქონდა გაწერილი რა დისციპლინური სახდელი დაეკისრებოდა პირს ამა თუ იმ გადაცდომის შემდეგ, რადგან ამის განსაზღვრა თითოეულ შემთხვევაში ევალებოდა ეთიკის კომისიას.

აღნიშნულთან დაკავშირებით თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი წესით, (ამ კანონის გათვალისწინებით და სამართლიანი პროცედურის გზით). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია შეიმუშაოს სტუდენტის ეთიკის კოდექსი, რომელიც დააწესებს შეზღუდვას სტუდენტის ქცევაზე, თუ ეს დაკავშირებულია საგანმანათლებლო პროცესის წარმართვასთან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დეტალურად განსაზღვროს ქცევის წესი, რომელიც იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას. დაწესებულების იურისტმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, კანონის აღნიშნული იყო ბუნდოვანი. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში დაწესებულება აკმაყოფილებდა ავტორიზაციის შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნას.

1.6.2

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, რითი იყო გამოწვეული პროგრამულ ნაწილში ასეთ რაოდენობით ხარვეზების არსებობა და სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოსთვის გაეცნოთ დაწესებულებაში პროგრამების დამტკიცებისა და შემუშავების პროცედურები.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ პროგრამების შეჯერებასა და დამტკიცებაში მონაწილეობას ღებულობდა პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი,, რომ ტექნიკური უზუსტობის გამო, ვიზიტის დროს ექსპერტებისთვის მოხდა სილაბუსების სამუშაო ვერსიების მიწოდება, რამაც გამოიწვია დიდი რაოდენობის შენიშვნების დაფიქსირება.

საბჭოს წევრმა, ნინო ჩინჩალაძემ ექსპერტებს მიმართა, ნანახი ჰქონდათ თუ არა დაწესებულების მიერ საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი გამოსწორებული დოკუმენტაცია. ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ექსპერტებს ნანახი არ ჰქონდათ.

საბჭოს წევრმა, ნინო სოზაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა და დაინტერესდა, თუ როგორ მოხდა შეფასების სისტემასთან დაკავშირებული შენიშვნების გამოსწორება. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა განაცხადა, რომ შეფასების სისტემა სათანადოდ ჩაიშალა და შეჯერდა.

საბჭოს წევრი ნინო სოზაშვილი დაინტერესდა დაწესებულებისა და შპს სასწავლო ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-სთან გაფორმებული მემორანდუმის ნაწილში დაფიქსირებულ ხარვეზებით, კერძოდ 1.14 პუნქტით, რაზეც დაწესებულების იურისტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა პროგრამის გაუქმების წესი და შესაბამისად გაფორმებული იყო მემორანდუმი შპს სასწავლო უნივერსიტეტ სეუსთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მობილობის პროცესის მიმდინარეობისას დაწესებულებას არ ჰქონდა იმის გარანტია, რომ პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროგრამაზე ჩარიცხული ყველა სტუდენტი მობილობის წესით მოხვდებოდა სხვა უმაღლეს სასწავლებელში. შესაბამისად, მსგავსი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულების მარეგულირებელი დოკუმენტი კრძალავდა პროგრამის გაუქმებას და იგი გადადიოდა მილევად რეჟიმში. ექსპერტმა დააზუსტა, რომ მოცემულ შემთხვევაში შენიშვნა ეხებოდა მემორანდუმს. დაწესებულების იურისტმა აღნიშნა, რომ რთული იყო ანალოგიური პროგრამების მქონე უნივერსიტეტების მოძიება და მათთან მემორანდუმების გაფორმება.

ექსპერტმა თამარ გვიანიშვილმა დააზუსტა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სტუდენტი, რომელიც დამატებით სპეციალობად აირჩევდა საბუღალტრო საქმეს ან ფინასებს, კრედიტები ვერ ექნებოდა სრულად აღიარებული ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, რადგან მიმღები მხარე ითვალისწინებდა მენეჯმენტის, საერთაშორისო ურთიერთობების და ფინანსობრივი სამსახურის სამსახური პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების სრულად აღიარებას. ამ ხელშეკრულებას ვერ შეასრულებდა თავად დაწესებულებაც, რადგან ის არ ახორციელებდა ხელშეკრულებაში მითითებულ პროგრამებს. დაწესებულების იურისტმა აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი გვარდებოდა დაწესებულების შიდა რეგულაციებით, რადგან დაწესებულება ასეთ შემთხვევაში არ მოახდენდა პროგრამის გაუქმებას.

საბჭოს წევრი ნინო სოზაშვილი დაინტერესდა საინფორმაციო ტექნოლოგიების სასწავლო კურსის მიზანს, შედეგსა და სასწავლო მასალას შორის არსებული შეუსაბამობებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების მოწვეული პერსონალი კითხულობდა, რომელსაც უდასტურდებოდა შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილება და კომპეტენცია.

საბჭოს წევრმა, თამარ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნიდან და 1.15 პუნქტიდან ირკვეოდა, რომ დაწესებულებაში რეალურად შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი არ ხორციელდებოდა, რადგან სხვაგვარად საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით მსგავსი სახის ხარვეზის დაშვება შეუძლებელი იყო. ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულება ახალდაფუძნებული იყო და მომავალში გაიზიარებდა ყველა შენიშვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო ითვალისწინებდა იმ ფაქტს, რომ დაწესებულება იყო ახალადდაფუძნებული, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული იყო არსებითი ხასიათის შენიშვნები. ირინა ხანთაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს სჭირდებოდა მყარი მტკიცებულებები იმისათვის, რათა მიეღო ობიექტური გადაწყვეტილება. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, როგორ მუშაობდა ხარისხის მართვის სისტემა ორგანიზაციაში, რათა მსგავსი ხარვეზები სამომავლოდ აღარ განმეორებულიყო. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხარვეზების ამგავრი რაოდენობა დაფიქსირდა გარე შეფასების შედეგად, შესაბამისად საბჭო ინტერესდებოდა, თუ როგორ ფუნქციონირებდა დაწესებულებაში ხარისხის მართვის შიდა სისტემა.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შედგომ აქტიურად მიმდინარეობდა ამ კუთხით მუშაობა და ყველა შენიშვნა გამოსწორებული იყო. საბჭოს თავმჯდომარემ განმეორებით მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებით რა პროცედურები და მექანიზმები არსებობდა ორგანიზაციაში.

დაწესებულების იურისტმა აღნიშნა, რომ მას შეეძლო როგორც იურისტს აღეწერა პროცესი და შიდა მარეგულირებელი მექანიზმები, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ მას ხარისხის მართვის სისტემის შესახებ სურდა ინფორმაციის მიღება. დაწესებულების იურისტმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც მოხდა იმ ფაქტის დაფიქსირება, რომ ორგანიზაციის შიდა მარეგულირებელი მექანიზმები არ ამართლებდა, მოხდა გამოკითხვის ფორმების შემუშავება. მან დაამატა, რომ დაწესებულება ორიენტირებული იყო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე და შესაბამისად მისთვის მნიშვნელოვანი იყო სტუდენტთა აზრის გაგება პროგრამის შესახებ. მან დაამატა, რომ დაწესებულებამ კარგად გააალიზა რომ შიდა მონიტორინგის ნაწილში სერიოზული სამუშაო იყო შესასრულებელი.

საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამის შექმნისა და ხარისხის მართვის სისტემის არსებობის დასადასტურებლად, მხოლოდ გამოკითხვის ფორმები ვერ იქნებოდა საკმარისი. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ პროგრამა იქმნებოდა პროგრამის ხელმძღვანელისა და პერსონალთან კონსულტაციების რეჟიმში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ იმ ფონზე, როდესაც დაწესებულებას არ ჰყავდა სტუდენტები, ნებისმიერი გამოკითხვის ფორმა სამომავლო პრესკრიპციაზე იყო გათვლილი.

საბჭოს წევრი, თამარ ზაალიშვილი დაინტერესდა დაცული იყო თუ არა დაწესებულებაში კვლიფიკაციის მინიჭების წესი. აღნიშნულთა დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ მხრივ, დარღვევები არ გამოვლენილა, კერძოდ კვალიფიკაციის მინიჭება ხდებოდა ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს გადასცა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

19:03 საათზე საბჭოს წევრმა, თინათინ ბრეგვაძემ დატოვა სხდომა.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 დაწესებულებაში, დირექტორის 2014 წლის 17 ივლისის დ/8 დადგენილებით, დამტკიცებული იყო სტრუქტურა, თუმცა ცალკე სტრუქტურული ერთეულების დებულებები არ ფიქსირდებოდა. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილი იყო შპს „თბილისის საერთაშორისო აკადემიის“ დებულებაში, რომელიც განთავსებული იყო ვებგვერდზეც www.tsa.ge. დაწესებულების მისიას წარმოადგენდა შემდეგი - „ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, შექმნას ეროვნული ღირებულებების მატარებელი ისეთი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ადაპტირებული იქნება არა მხოლოდ ქართულ საგანმანათლებლო სივრცესა და მის მოთხოვნებთან, არამედ შესაბამისობაში იქნება ევროპულ საგანმანათლებლო სტანდარტებთან“. სტრუქტურა უზრუნველყოფდა დაწესებულების მისით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას, მაგრამ გაურკვეველი იყო სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები როგორ უზრუნველყოფდა დაწესებულების მისით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების იურისტმა განმარტა, რომ დაწესებულების დებულებაში გაწერილი იყო სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, აქედან გამომდინარე მან განაცხადა, რომ ამ მხრივ ექსპერტთა შენიშვნები ბუნდოვანი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და სთხოვა განემარტა რას გულისხმობდა 2.1 ჰუნქტში, რაზეც ავტორიზაციის ექსპერტმა, დავით ჭეიშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლოა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები ცალკეულ დოკუმენტში ნათლად იყო გაწერილი, მაგრამ ვიზიტის დროს გამოვლენილი ხარვეზების რაოდენობა აფიქრებინებდა ექსპერტებს, რომ დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები ვერ უზრუნველყოფდნენ დაწესებულების მისითა და დებულებით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში თუ დებულებაში სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები ნათლად იყო გაწერილი, საკითხი შეიძლებოდა ამოწურულად ჩათვლილიყო.

ექსპერტმა კიდევ დააზუსტა, რომ აღნიშნული წარმოადგენდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რომელიც მათ გაუჩნდათ საერთო მდგომარეობის ანალიზის შემდეგ, როდესაც მაგალითად საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით გამოვლინდა არსებითი ხასიათის შენიშვნები.

2.2 დაწესებულებას ცალკე დოკუმენტის სახით არ ჰქონდა შემუშავებული ხანმარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები, თუმცა დაწესებულების შინაგანაწესში და დებულებაში იყო ამ საკითხებზე საუბარი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ბერძენიშვილმა განამარტა, რომ ხარძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარებისა და წესრიგის უზრუნველყოფის წესი დეტალურად იყო გაწერილი დაწესებულების შენაგანაწესში და შესაბამისად, მათი ცალკე დოკუმენტად არსებობა არ წარმოადგენდა არსებით გარემოებას.

2.3 დაწესებულებაში არსებობდა ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ შენობის პირველ სართულზე მოწყობილი იყო ადაპტირებული საპირფარეშო, შესასვლელ კიბეებზე მოწყობილი იყო პანდუსი და შენობაში ყველა კიბეზე დამონტაჟებული იყო ლითონის გადასატანი პანდუსები, თუმცა აღსანიშნავი იყო ის ფაქტი, რომ პანდუსების დახრის კუთხე იყო დიდი და შესაბამისად ეტლიან ადამიანს გაუჭირდებოდა დამოუკიდებლად გადაადგილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მსგავსი ფაქტი სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც ფიქსირდებოდა და ორგანიზაცია შესაბამის ვადებში მოიყვანდა მწყობრში ადაპტირებულ გარემოს.

2.4 შპს „თბილისის საერთაშორისო აკადემიაში“ მიმდინარეობდა გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, რისთვისაც არსებობდა შემოსული და გასული კორესპონდენციის, შიდა ადმინისტრაციული აქტების (დირექტორის და რექტორის) რეგისტრაციის უურნალები. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შრომითი ხელშეკრულებების, შესყიდვის ხელშეკრულებების, დამფუძნებელთა კრების ოქმების რეგისტრაციის უურნალები.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების იურისტმა განაცხადა, რომ არსებობდა შრომითი ხელშეკრულებების, შესყიდვებისა და დამფუძნებელთა კრების ოქმების რეგისტრაციის უურნალები, თუმცა ექსპერტებს ვიზიტის დროს ისინი არ მოუთხოვიათ და შესაბამისად არ მოხდა მათ წარმოდგენა.

2.5 შპს „თბილისის საერთაშორისო აკადემიის“ ვებგვერდს წარმოადგენდა www.tsa.ge, მასზე განთავსებული იყო საკონტაქტო ინფორმაცია, დაწესებულების სტრუქტურის სქემა, დებულება, შინაგანაწესი, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი და ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი. აღსანიშნავია რომ, ვებგვერდის რუბრიკების უმეტესობაში არ იყო განთავსებული ინფორმაცია – მაგალითად - რუბრიკები: „მისია“, „რექტორი“, „დირექტორი“, „ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი“, „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური“, „აკადემიის თანამშრომლებისათვის“, „აბიტურიენტებისათვის“, „სხვა სამართლებრივი აქტები“, „მოწვეული პერსონალი“, „აკადემიური პერსონალი“ და სხვ. ინფორმაციის არარსებობის მიუხედავად რუბრიკებში მითითებული იყო გამოქვეყნების თარიღი და „ექვემდებარება განახლებას“, თუმცა გაუგებარია რატომ უნდა ექვემდებარებოდეს განახლებას, მაგალითად, დაწესებულების მისია, პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი და სხვ.; ასევე აკადემიური პერსონალის ვაკანსიების რუბრიკაში განთავსებული იყო 08 განცხადება, ყველა შემთხვევაში მითითებული იყო „გამოქვეყნებულია 22 აგვისტოს“ და „უკანასკნელი განახლება 02 ოქტომბერი“, თუმცა აქაც ინფორმაციის არ არსებობის გამო არ დგინდებოდა რა შინაარსის იყო ერთსა და იმავე დღეს გამოქვეყნებული და ერთსა და იმავე დღეს განახლებული განცხადებები, რომლებიც ჩანაწერის თანახმად კვლავ „ექვემდებარება განახლებას“. ანალოგიურად, „სიახლეების“ რუბრიკაში 08 განცხადება ერთსა და იმავე დღეს იყო გამოქვეყნებული (20 აგვისტო) და რვავე „ექვემდებარება განახლებას“; დაწესებულებას ჰქონდა ინგლისურენოვანი ვებგვერდი, სადაც რუბრიკების უმეტესობა არ შეიცავდა ინფორმაციას, დანარჩენი ნაწილი კი შეიცავდა ქართულენოვანი ვებგვერდისგან განსხვავებულ ინფორმაციას. მაგ., ფაკულტეტები (ბიზნესი, სამართალი, ტექნოლოგიური და ჰუმანიტარული), ეთიკის კოდექსი, საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი), პროგრამების ჩამონათვალი – მაგისტრატურა, დოქტორანტურა, პროფესიული განათლება რაც არ შეესაბამებოდა რეალობას, რადგან პროფესიული განათლების პროგრამები არ იყო მითითებული დაწესებულების თითშეფასების კითხვარში, ხოლო მაგისტრატურის და დოქტორანტურის პროგრამებს ის ვერ განახორციელებდა „კოლეჯის“ სტატუსიდან გამომდინარე.

2.6 თბილისის საერთაშორისო აკადემიის დირექტორის 2014 წლის 25 ივლისს დ/23 დადგენილებით დამტკიცებული იყო „შპს „თბილისის საერთაშორისო აკადემიის“ განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, მაგრამ რამდენად გამომდინარეობდა ის დაწესებულების მისიიდან მნელი დასადგენი იყო, ასევე მნელად აღსაქმელი იყო მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმები, რომელიც არ იყო ნათლად გაწერილი.



3. ადამიანურ რესურსთან მიმართებით:

3.1 შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიური პერსონალის შერჩევა მოხდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-35-ე მუხლების შესაბამისად. დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული ჰქონდა აკადემიური თანამდებობებზე არჩევისკანონმდებლობის შესაბამისიწესი. აღსანიშნავია, რომ ნანა ფაცაცია და დავით სუხიაშვილი აკადემიური კონკურსის შედეგად არჩეულები იყვნენ აკადემიურ თანამდებობაზე, კერძოდ ასისტენტ-პროფესორად. მათი მონაცემები მითითებული იყო რექტორის დანიშვნის ბრძანებებში და პედაგოგებთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულებები, თუმცა არ კითხულობდნენ არცერთ სასწავლო კურსს.

აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პიროვნებების შერჩევა მოხდა პროგრამის დაწერის შემდეგ, ხოლო საათობრივი განაწილებისას გამოვლენილი გარემოებების შედეგად, ამ ეტაპზე ისინი არ კითხულობდნენ ლექციებს, თუმცა სამომავლოდ აღნიშნული ადამიანური რესურსი სრულად იქნებოდა გათვალისწინებული.

3.2 რექტორის ბრძანება №3/4 „აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის პირველი ეტაპის შედეგების დამტკიცების შესახებ“ დათარიღებული იყო 2014 წლის 29 ივლისის რიცხვით, აღნიშნული ბრძანება ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალში გატარებული იყო 2014 წლის 29 აგვისტოს თარიღით.

აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტმა ქეთევან ინანაშვილმა განაცხადა, რომ მოცემული ფაქტი ექსპერტებს არ მიაჩნდათ ტექნიკურ ხარვეზად.

3.3 აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ხელშეკრულებები და დანიშვნის აქტები გაფორმებული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღსანიშნავია, რომ „აკადემიური პერსონალის შესარჩევი კონკურსის ჩატარების ინსტრუქციაში“ (დამტკიცებული დირექტორის 2014 წლის 18 ივლისის დ/11 დადგენილებით) მე-12 მუხლში მოცემული იყო „აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი“, რომლის მე-4 პუნქტში გაწერილი იყო შემდეგი: ასისტენტ პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დაკავება ხორციელდებოდა 3 წლის ვადით, ხოლო პროფესორის, ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე არჩევა ხორციელდებოდა - 4 წლის ვადით. თუმცა აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების დათვალირებით ირკვეოდა, რომ ასისტენტ-პროფესორებს: დავით ბაიდოშვილს, დავით სუხიაშვილს, ნანა ახობაძეს, ნანა ფაცაციას ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდათ 4 წლის ვადით (04.09.2014-04.09.2018).

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა ტექნიკურ ხარვეზს და დაწესებულების მიერ იყო გამოსწორებული.

19:25 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

საბჭოს სხდომა განახლდა 20:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება ავტორიზაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა ვიზიტის შემდეგ. მან აქვე დაამატა, რომ საბჭომ არსებით შენიშვნებად მიიჩნია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირებულ ხარვეზები. ირინა ხანთაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომაზე დაწესებულების მხრიდან არ იყო წარმოადგენილი დამაჯერებელი არგუმენტები

იმისა, რომ დაწესებულებაში არსებობდა ხარისხის მართვისა და საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების გამართული სისტემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს თანამშრომლობითი გარემოსათვის.

საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირმა, თინანო თევზაძემ აღნიშნა, რომ ხშირია საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით სტანდარტის არდაკმაყოფილების შემთხვევები, რაც მიუთითებდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების გადახედვის აუცილებლობისაკენ. იგი დაინტერესდა, არსებობდა თუ არა ცენტრში რაიმე ტიპის კვლევა აღნიშნულთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის სამმართველოს უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ სტანდარტების დახვეწის კუთხით მიმდინარეობდა მუშაობა. მან ასევე დაამატა, რომ ცენტრი, საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსის მაძიებლების მიმართ, კონსულტაციების გასაწევად გამოხატავდა მზადყოფნას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56²-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 56⁴-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის საერთაშორისო აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 405051786) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 20:15 საათზე საბჭო დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე